PowerPoint-ში პრეზენტაციის თემა შემდეგია:

აირჩიეთ რომელიმე ფირმა (ყველა სტუდენტი ირჩევს განსხვავებულ ფირმას). წარმოიდგინეთ რომ ხართ ამ ფირმის თანამშრომელი, რომელსაც გევალებათ გახვიდეთ რომელიმე ქვეყნის ბაზარზე (ქვეყანაც თქვენ თვითონ აირჩიეთ). თქვენ უნდა შეისწავლოთ თქვენი ფირმის რომელ პროდუქტებზე არის მოთხოვნილება თქვენს მიერ არჩეულ ქვეყანაში, როგორ გეგმას დასახავთ რომ მოიპოვოთ თქვენი პროდუქციის გასაღების ბაზრის წილი, ვინ გეყოლებათ კონკურენტები, რა რესურსებს გაუკეთებთ მობილიზირებას თქვენი მიზნის მისაღწევად, თქვენი ფირმის ძლიერი და სუსტი მხარეები, რა რისკ ფაქტორები არის გასათვალისწინებელი და რა თავდაცვის მექანიზმებს გამოიყენებთ, როგორ სარეკლამო კამპანიას წარმართავთ მიზნის მისაღწევად, რა მოგებას ელოდებით, სამომავლო გეგმები, როგორ გააფართოებთ თქვენი ფირმის ბიზნეს და ა. შ.

პრეზენტაცია შეფასდება **150 ქულით** შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

მოწესრიგებულობა	უნდა იყოთ მოწესრიგებული და ჩაეტიოთ თქვენთვის გამოყოფილ დროში. თითო სტუდენტს გამოეყოფა 10 წუთი პრეზენტაციის წარმოსადგენად.	10 ქულა
პრეზენტაბელურობა	პრეზენტაციის წარმართვის ტექნიკა, უნარჩვევები	15 ქულა
აუდიტორიასთან კონტაქტი	ისე უნდა წარმართოთ პრეზენტაცია რომ აუდიტორიისთვის მოსაწყენი არ იყოს თქვენი პრეზენტაცია და ინტერესით უსმენდეს.	15 ქულა
პრეზ. შემდგომი ქცევა	თქვენი მოქმედებით ხელი არ უნდა შეეშალოს სხვის პრეზენტაციას.	10 ქულა
ინფორმაციის მოპოვება და შეგროვება	რამდენად კარგად შესძელით ინფორმაციის მოპოვება ინტერნეტიდან ან სხვა საინფორმაციო წყაროდან	25 ქულა
სლაიდები	PowerPoint-ში პრეზენტაცია უნდა შეიცავდეს არანაკლებ 15-20 სლაიდს. ინფორმაციის წარმოდგენა PowerPoint-ის საშუალებით (რამდენად კარგად იყენებთ PowerPoint-ის ტექნოლოგიებს, ჩვენი კურსის მასალებს, ყურადღება მიექცევა გაფორმებას - ფორმატირების, ანიმაციების და სხვა ეფექტების სწორად გამოყენების ტექნიკას) მისასალმებელია ყველა იმ ტექნოლოგიის გამოყენება რაც განვიხილეთ კურსის მსვლელობის დროს.	75 ქულა

თქვენი პრეზენტაცია ჩაწერეთ CD დისკზე “Package for CD”-ის გამოყენებით, ისე რომ მასში გაერთიანდეს ყველა ის ელემენტი რომელიც პრეზენტაციაში გაქვთ გამოყენებული და ჩააბარეთ იგი ლექტორს პრეზენტაციის დასრულების შემდგომ.
გისურვებთ წარმატებებს